

ინფორმაცია
შვედეთში გამართული სემინარის შესახებ

სემინარი მიმდინარეობდა 2011 წლის 24 – 26 იანვარს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში და მიეძღვნა საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ორგანიზატორი მხარე იყო შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: დევი ვეფხვაძე - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე, თამარ ბეჟანიშვილი - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი და თათია ბროლაძე - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორი.

შეხვედრას ხელმძღვანელობდნენ: კამერენ ხუდური - შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი მენეჯერი და დევი ვეფხვაძე - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე.

სემინარის პირველსავე დღეს, კამერენ ხუდურმა გააცნო რა მონაწილეებს შეხვედრის სამოქმედო გეგმა, მოკლედ მიმოიხილა შვედეთის აუდიტორული ოფისის საერთაშორისო ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ოფისებთან.

ქართულმა მხარემ წარმოადგინა 2010-2012 წლების სტრატეგიულ და 2011 წლის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სამომავლო თანამშრომლობის მონახაზი, რომელიც განხილულ იქნა შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის გენერალურ აუდიტორ იან ლანდალთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, 2010 წლის მარტში, შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისისა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, დაიწყო 2011 წლის თანამშრომლობის დაგეგმვა.

დღის წესრიგის შესაბამისად:

პირველი დღე დაეთმო ზოგად მიმოხილვასა და ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის განხილვას;

მეორე დღეს განხილულ იქნა ფინანსური აუდიტის და ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის საქართველოს კონტროლის პალატაში დანერგვის, შიდა და გარე კომუნიკაციების თემას;

ბოლო, მესამე დღე - მენეჯმენტისა და სტრატეგიული დაგეგმვის თემას. აღნიშნულ საკითხებზე სამუშაოდ საქართველოს კონტროლის პალატაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომელთა ხელმძღვანელები და წევრები მონაწილეობდნენ განხილვასა და 2011 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

დღის წესრიგით წამოჭრილი საკითხების სპეციფიკა, მათი მნიშვნელობა და არსი:

I. ეფექტიანობის აუდიტი

შეხვედრა მიზნად ისახავდა:

- კონტროლის პალატის ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიის განხილვას (შესავალი, ეფექტიანობის აუდიტის არსი, დაგეგმვა და აუდიტის თემების შერჩევა, წინასწარი შესწავლა და სამუშაო გეგმა);
- საპილოტე აუდიტების მიმოხილვას;
- პროგრამული ბიუჯეტის განხილვას (შვედეთის აუდიტორული ოფისის პრაქტიკა და გამოცდილება)

(შენიშვნა: შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისი ქართველ კოლეგებს გააცნო საკუთარი გამოცდილება ობიექტის მიერ შემუშავებული პროგრამის შედეგიანობის ინდიკატორების აუდიტის, და არა აღნიშნული ინდიკატორების ეფექტიანობის, მართებულობისა და სისწორის კუთხით);

- ეფექტიანობის აუდიტში ხარისხის კონტროლის/უზრუნველყოფის განხილვას;
- ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიაში ტრენინგების პროგრამაზე მუშაობის დაწყებას.

თემების განხილვის შემდეგ შემუშავდა რეკომენდაციები:

- ჩამოყალიბდეს ეფექტიანობის აუდიტის ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ფინანსური აუდიტის ჯგუფისგან და რომლის ფუნქცია იქნება მხოლოდ მეთოდოლოგიის შემუშავება/დახვეწა, ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება და ხარისხის კონტროლი/უზრუნველყოფა;
- კონტროლის პალატის ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიის ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნეს სახელმძღვანელოს განხილვისას შვედეთის

აუდიტორული ოფისის ეფექტიანობის აუდიტის ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ყველა შესწორება;

- გაკეთდეს ტრენინგების პროგრამის მონახაზი ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიაში;
- ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ შეიმუშაოს სამუშაო აღწერილობები თითოეული თანამდებობისთვის (შვედეთის აუდიტორული ოფისი ნიმუშის სახით კონტროლის პალატას მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აუდიტორი);
- შავი ზღვის საპილოტე აუდიტის ანგარიში გადაეგზავნოს საქართველოს პარლამენტს;
- აუდიტის ობიექტებს მიეწოდოს ინფორმაცია ეფექტიანობის აუდიტის მიზნისა და მნიშვნელობის შესახებ;
- კონტროლის პალატის მხრიდან შესწავლილ იქნეს პროგრამული ბიუჯეტის კონცეფცია. შვედი კოლეგები აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კონტროლის პალატას მიაწვდიან მეთოდოლოგიას პროგრამული ბიუჯეტის შესახებ.

შეხვედრებისას დაიგეგმა შეხვედრები:

1. *სავარაუდო თარიღი: 7-11 მარტი, 2011 წ.*
შეხვედრის ადგილი: ქ. თბილისი

განსახილველი საკითხები:

- კონტროლის პალატის ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია;
- შვედეთის აუდიტორული ოფისის ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიაში ტრენინგის პროგრამის პრეზენტაცია;
- პროგრამული ბიუჯეტის არსი და მიზანი - როგორ უნდა დიანერგოს და განხორციელდეს კონტროლის პალატის მხრიდან ამ პროცესის მონიტორინგი.

2. *სავარაუდო თარიღი: 13-17 ივნისი, 2011 წ.*
შეხვედრის ადგილი: ქ. თბილისი

განსახილველი საკითხები:

- აუდიტის ობიექტის მიერ განსაზღვრული ეფექტიანობის ინდიკატორების აუდიტი - თეორია და პრაქტიკა;
- ძირითადი სამუშაოები (introduction to main study) - ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება, აუდიტის ანგარიშის შედგენა;

- მიმდინარე საპილოტე აუდიტების პროცესი - რეკომენდაციები და რჩევები.

3. *სავარაუდო თარიღი: 10-14 ოქტომბერი*
შეხვედრის ადგილი: ქ. თბილისი

განსახილველი საკითხები:

- ეფექტიანობის აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა (ფუნქციონირებადი ჯგუფის ჩამოყალიბება);
- მიმდინარე საპილოტე აუდიტების პროცესი - რეკომენდაციები და რჩევები.

II. ფინანსური აუდიტი

საქართველოს კონტროლის პალატაში ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვის, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემის შემუშავება-დანერგვის თემებთან დაკავშირებით განხილულ იქნა პალატის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები 2010-2012 წლებში. სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, 2011 წლისათვის შვედ კოლეგებთან ერთდ დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

1. საქართველოს კონტროლის პალატაში ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემისა და ფუნქციური ერთეულის ჩამოყალიბების კუთხით საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა - სავარაუდო თარიღი: 17-21/01, 2011;
2. შვედი კოლეგების ჩართვა ახალი ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით განხორციელებულ მიმდინარე აუდიტების სამუშაო პროცესში (დაგეგმვისა და ტესტირების ეტაპები) - სავარაუდო თარიღი: 17-21/01, 2011;
3. საქართველოს კონტროლის პალატისათვის ონლაინ (საკონფერენციო ზარებითა და ელექტრონული ფოსტით) დახმარების გაწევა ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში - სავარაუდო თარიღი: იანვარი - აპრილი, 2011;
4. საქართველოს კონტროლის პალატაში თანამშრომელთა ტრენინგის პროგრამის ჩამოყალიბება. ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოში მოკლევადიანი ტრენინგისა და გრძელვადიანი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება.

შენიშვნა: შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ოფისს აქვს საერთაშორისო გამოცდილება სხვადასხვა უმაღლესი აუდიტორული ოფისის მიერ AFROSAI-E-ის მიხედვით შემუშავებული ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოების დანერგვის

მიზნით ტრენინგის ჩასატარებლად. AFROSAI-E-ის ტრენინგმოდულს აქვს საქართველოს კონტროლის პალატაში ჩასატარებელი ტრენინგისათვის საჭირო მასალების ნაწილი, ლექციები, ტრენინგში მონაწილეთა შესაძლო შეკითხვების სია და ამ კითხვებზე პასუხების მაგალითები; პრაქტიკული მაგალითების დამატება შესაძლებელია აგრეთვე კონტროლის პალატის გამოცდილებიდან. აღნიშნულ მოდულს შვედი კოლეგები საქართველოს კონტროლის პალატას უახლოეს მომავალში გააცნობენ - სავარაუდო თარიღი: იანვარი - აპრილი, 2011;

5. მე-2 პუნქტში დაგეგმილი საქმიანობის გაგრძელება. შვედი კოლეგების ჩართვა ახალი ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით განხორციელებულ მიმდინარე აუდიტების სამუშაო პროცესში: „აუდიტის დასკვნა და აუდიტის ანგარიშის“ ეტაპი; შესრულებული სამუშაოს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა - სავარაუდო თარიღი: აპრილის II ნახევარი, 2011;

6. ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის განხილვა მათი საპილოტე აუდიტების პროცესში ტესტირებით - სავარაუდო თარიღი: აპრილის II ნახევარი, 2011;

7. ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვის მიზნით ტრენინგის პროგრამის სამუშაო ვერსიის განხილვა - სავარაუდო თარიღი: აპრილის II ნახევარი, 2011;

8. გრძელვადიანი პროფესიული განვითარების ტრენინგის პროგრამის სამუშაო ვერსიის განხილვა - სავარაუდო თარიღი: აპრილის II ნახევარი, 2011;

9. საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერა ქვეყნის ანტიკორუფციული მიზნების მიღწევაში - სავარაუდო თარიღი: სექტემბერი, 2011.

შვედეთის უმაღლესი აუდიტორულ ოფისი იყენებს ჩვეულებრივ აუდიტორულ პროცედურებს ობიექტში თაღლითობის გამოსავლენად. თაღლითობის ეჭვის წარმოშობის შემდეგ, აუდიტორები უგზავნიან აუდიტის შედეგებს შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის თანამშრომელ ექსპერტს, რომელიც დამატებით მოკვლევას ატარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აუდიტის ჯგუფთან ერთად განხილვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი საეჭვოდ მიიჩნევა, ამუშავებს მასალას სამართალდამცავი ორგანოსთვის გადასაცემად. აღნიშნული პროცესის კომუნიკაცია აუდიტის ობიექტთან ISSAI 1240-ის თანახმად ხორციელდება.

10. მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის გაგრძელება. ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით შესრულებული აუდიტის დასკვნისა და ანგარიშის განხილვა შესრულებული სამუშაოს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, აგრეთვე ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის

სახელმძღვანელოს ტესტირების მიზნით აღნიშნული აუდიტების ხარისხის შესახებ ანგარიშის ერთობლივად მომზადება.

11. შვედი კოლეგების მონაწილეობა მიმდინარე საპილოტე აუდიტებში - სავარაუდო თარიღი: ნოემბერი-დეკემბერი, 2011;

12. მიმდინარე აუდიტების განხილვა შვედი კოლეგების მიერ ტესტირებისა და ანგარიშების პერიოდში - სავარაუდო თარიღი: ნოემბერ - დეკემბერი, 2011;

საქართველოს კონტროლის პალატის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სახელმძღვანელო მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე ეფექტიანობის აუდიტს. შვედი კოლეგების რეკომენდაციაა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დაფუძნებული იყოს AFROSAE-I - ის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სახელმძღვანელოზე.

III. შიდა და გარე კომუნიკაცია;

1. შიდა და გარე კომუნიკაციების კუთხით დაგეგმილია:

შიდა კომუნიკაციის სისტემის შემუშავება, საქართველოს კონტროლის პალატაში არსებული შიდა კომუნიკაციის კვლევის საფუძველზე. აღნიშნული კვლევის გეგმასთან დაკავშირებით, სემინარებს ჩაატარებენ შვედი კოლეგები. გეგმის განხილვის განხილვის შემდეგ, ქართული მხარე მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას - სავარაუდო თარიღი: მარტი, 2011;

2. გარე კვლევის შედეგების ანალიზი და შესაძლო/საჭირო ზომების მიღება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ - სავარაუდო თარიღი: ივნისი, 2011;

3. შიდა კომუნიკაციის კუთხით ჩატარებული სამუშაოს განხილვა - სავარაუდო თარიღი: ივნისი, 2011;

4. საქართველოს კონტროლის პალატასთან დაკავშირებული მახარებისათვის ფინანსური აუდიტისა და ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს წარდგენა. აღნიშნული აუდიტების მიზნისა და მნიშვნელობის კომუნიკაცია აუდიტის ობიექტებისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისათვის - სავარაუდო თარიღი: ოქტომბერ - ნოემბერი, 2011.

IV. მენეჯმენტი

მენეჯმენტის კუთხით საქართველოს კონტროლის პალატამ აღნიშნა ეფექტიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმისა და არსებული რესურსების ეფექტიანად

გადანაწილების მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც საქართველოს კონტროლის პალატა უახლოვდება თანამედროვე სტანდარტებს.

მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის კუთხით დაგეგმილია შემდეგი:

1. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხილვა;
2. დროის რეგისტრაციის სისტემის სამუშაო ვერსიის განხილვა;
3. საქართველოს კონტროლის პალატის რესურსების დაგეგმარების განხილვა შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის სამუშაო გეგმისა და ბიუჯეტის დეტალური პრეზენტაცია - სავარაუდო თარიღები: 4-8/04, 2011; 16-20/05, 2011;
4. დროის რეგისტრაციის სისტემის საპილოტე ვერსიის შედეგების განხილვა;
5. ადამიანური რესურსების მართვის სამუშაო ვერსიის, მისი დანერგვისა და კომუნიკაციის განხილვა - სავარაუდო პერიოდი: შემოდგომა, 2011;
6. მენეჯმენტის კუთხით შემდეგი საქმიანობა დამოკიდებულია აღნიშნული გეგმის შედეგებზე - სავარაუდო პერიოდი: ნოემბერ - დეკემბერი, 2011;

V. IT სტრატეგია

IT სტრატეგიის კუთხით დაგეგმილია:

1. არსებული სისტემების შეფასება;
2. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შემუშავებული და მიღებული IT სტრატეგიის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება (სამუშაო ვერსია);
3. სასარგებლო ინსტრუმენტების პრეზენტაცია;
4. საქართველოს კონტროლის პალატის IT თანამშრომლებთან ერთად არსებული ინფრასტრუქტურის ცვლილება სამოქმედო გეგმის მიხედვით - სავარაუდო თარიღი: 31/01 – 4/02, 2011.

შენიშვნები და მოსაზრებები:

აღნიშნულ საკითხებთან ერთად, შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისი ასევე განიხილავს „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებს კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან და ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარებსა და რჩევებს მიაწვდის საქართველოს კონტროლის პალატას.

მუდმივი წარმომადგენლის (ექსპერტის) საკითხი 2010 წლის მარტში გაფორმებული მემორანდუმის ჩარჩოს სცილდება და ამდენად, შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისი ქართულ მხარეს ინფორმაციას ამ კუთხით თანამშრომლობის შესახებ, მოგვიანებით მიაწვდის.

შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისი ასევე ითანამშრომლებს საქართველოს კონტროლის პალატასთან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის ინსტიტუციონალური განვითარების კუთხით.